საქართველოში წინასაარჩევნო პიარ კამპანიების განვითარება საპრეზიდენტო არჩევნების მაგალითებზე

მანანა გაბელია

ანა-მარიამ ტურაშვილი

ლადო ლეჟავა

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე საზოგადოებრივი ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

პროგრამა : ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტი

საზოგადოებასთან ურთიერთობა

ხელმძღვანელი: პროფესორი - თორნიკე გურული

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

განაცხადი

„ვაცხადებთ, რომ ნაშრომი „საქართველოში წინასაარჩევნო პიარ კამპანიების განვითარება საპრეზიდენტო არჩევნების მაგალითზე“ წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც არ არის ნაშრომში მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად”.

მანანა გაბელია

ანა-მარიამ ტურაშვილი

ლადო ლეჟავა

20/01/2020

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომი “საქართველოში წინასაარჩევნო პიარ კამპანიების განვითარება საპრეზიდენტო არჩევნების მაგალითებზე”, წარმოადგენს პირველ სამეცნიერო ნამუშევარს, რომელშიც განხილულია საქართველოში წინასაარჩევნო საპრეზიდენტო პერიოდები, პიარ სფეროს კუთხით.

ნაშრომში ფაქტები ძირითადად საქართველოს უახლესი ისტორიიდან არის განხილული. კერძოდ ქვეყნის ბოლო სამი პრეზიდენტი და ბოლო ოთხი კამპანია, რომელმაც განვითარების სხვადასხვა ეტაპზე მყოფ სამოქალაქო საზოგადოებას ლიდერი განსხვავებული გზავნილების გამო და განსხვავებული პროცენტული მხარდაჭრით მოუყვანა.

საარქივო მასალების დამუშავებამ გვაჩვენა, სხვადასხვა პერიოდის არჩევნებში, რომელი კანდიდატისათვის, როგორი პიარ სტრატეგია აღმოჩნდა წარმატებული და გამარჯვების მომტანი. ასევე პირიქით, რა იყო ის შეცდომები, რომლებიც პიარ სპეციალისტებმა ამა, თუ იმ კანდიდატთან მიმართებაში დაუშვეს, რამაც მათთვის არასასურველი შედეგი გამოიწვია.

ჩატარებული სამაგიდო კვლევის საშუალებით, შევისწავლეთ ის თეორიები, რომლითაც საერთაშორისო პიარ სპეციალისტები ხელმძღვანელობენ წინასაარჩევნო კამპანიის დაგეგმვისას. ნაშრომში განხილულია ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნების წინასაარჩევნო პიარ კამპანიების მაგალითები და პიარ სტრატეგიები, რომლებსაც ამერიკელი პიარ სპეციალისტები

იყენებენ. დაკვირვებამ გვაჩვენა, რომ საერთაშორისო პოლიტიკურ პიარს, საკმაოდ დიდი გავლენა აქვს ქართულ პიარზე. ნაშრომში წარმოდგენილია ის თეორიები, რომელზე დაყრდნობითაც შესაძლებელია სწორი პიარ კამპანიის წარმოება და მოყვანილია მაგალითები თუ როგორ გამოიყენეს ეს თეორიები, როგორც საქართველოში, ისე ამერიკაში. ამასთან ერთად ვრცლად არის მიმოხილული წინასაარჩევნო კამპანიების მეტად მნიშვნელოვანი ნაწილი - პოლიტიკური სარეკლამო ვიდეორგოლები. საარჩევნო კლიპებს მნიშვნელოვანი როლი აქვს წინასაარჩევნო პიარ კამპანიაში, ვინაიდან სატელევიზიო მედია კვლავ რჩება მნიშვნელოვან საინფორმაციო არხად. კვლევის სახით, ასევე გამოყენებულია მოქმედ და ყოფილ პრეზიდენტებთან ჩატარებული წერილობითი ინტერვიუები, სადაც ისინი თავად აფასებენ საკუთარი პიარ კამპანიის დადებით და უარყოფით მხარეებს.

ჩატარებულმა კვლევების შედეგებმა, შესაძლებლობა მოგვცა შეგვემუშავებინა რეკომენდაციები, რომლებიც ვფიქრობთ, შესაძლებელია მომავალში დასჭირდეთ პოლიტიკური პიარით დაინტერესებულ პირებს, ვინაიდან არჩევნები არის არჩევანი, რომელში მონაწილეობასაც კანდიდატები იღებენ და რომელში გამარჯვებაც ამომრჩევლის მხარდაჭერის მოპოვების გარეშე შეუძლებელია. ამ მხარდაჭერის მოსაპოვებლად კი, კანდიდატებს ყოველთვის სჭირდებოდათ ეს სფერო, მიუხედავად იმისა ერქვა თუ არა იმ დროს ამას პიარი.

ძირითადი საძიებო სიტყვები: პოლიტკური პიარი, საერთაშორისო გამოცდილებები, საპრეზიდენტრო არჩევნები, წინასაარჩევნო კამპანია, პოლიტიკური ვიდეო რგოლები.

Abstract

Masters thesis "Development of PR strategies in Georgia based on presidential election campaigns" represents scholarly work that discusses electoral campaigns in Georgia from public relations perspective.

Facts in the paper are brought from past experiences of four presidents, their campaigns similarities and differences in communication. Working on archive database showed us whose strategies and what kind of strategies brought success to the candidates. On the contrary we figured out what mistakes were made, bringing undesirable results.

Desk research helped us study the theories common in international political public relations. For more accuracy we analyzed foreign experiences in the direction of political PR. Research showed us that international practice and experience has strong influence on Georgian public relations strategies. We have brought up theories which are reliable and examples from local and American experiences. We have thoroughly deconstructed and discussed presidential campaign ads which are very important part of whole campaign. In the written interviews ex-presidents and president discuss pros and cons of their own campaigns.

Research results helped us work out the recommendations which in the future we think will help people who are interested in public relations specifically in political direction of this field. Elections and the support

of voters will always be of great importance; thus, the candidates will need to use public relations to reach the target audience.

მადლობა

მადლობა გვსურს გადავუხადოთ, თემის ხელმძღვანელ „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის“ პროფესორს - თორნიკე გურულს. კვლევაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის, მადლობას ვუხდით მიხეილ სააკაშვილის, გიორგი მარგველაშვილისა და სალომე ზურაბიშვილის პიარ სამსახურებს.